ბრძანება № 1-67

გორი 03 10 2023წ.

„სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სახელმწიფო სტიპენდიის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2013 წლის 22 ნოემბრის N1-64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის N1124717 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სახელმწიფო სტიპენდიის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2013 წლის 22 ნოემბრის N1-64 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო სტიპენდიის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ";

ბ) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო სტიპენდიის განაწილების წესი დანართის შესაბამისად";

გ) 1-ლი პუნქტით დამტკიცებული წესის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო სტიპენდიის განაწილების წესი";

გ.ბ) 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს წესი (შემდგომში - „წესი") აწესრიგებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სტიპენდიებისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებას სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი")."

გ.გ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სტიპენდიის განაწილების კრიტერიუმი

1. სტიპენდია ენიშნება უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტს, თუ მას წინა სემესტრში სრულად აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამით სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტები და წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს 91

ქულას და მეტს. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა ფასდება 2 ქულით).

- განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

2. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ვერ აითვისებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილ სტიპენდიატთა რაოდენობას, აუთვისებელი სტიპენდიების რაოდენობის ფარგლებში სტიპენდია დაენიშნება სტუდენტს, რომლის წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა ნაკლებია 91 ქულაზე. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

- წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (ფასდება 2 ქულით).

- განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).";

გ.დ) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადაწყვეტილებას სტიპენდიის დანიშვნის შესახებ კომისიის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს უნივერსიტეტის რექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ბრძანებით.".

2. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის;

3. წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება დაევალოს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე - უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი

გიორგი სღსიაშვილი